



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 25
10/01/2020

25-02-4-202001101138



საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი 2020“-ის მონაწილე „ონის მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი კონკურსის ჩატარების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვლობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებამდე სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელება შეათანხმოს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან“. ასევე, უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვისათვის აუცილებელი სხვა პროცედურების განხორციელება;
2. ბრძანების პირველ მუხლში აღნიშნული სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თანხმობის მიღების შემდეგ დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს მოახდინოს მედია პროექტ „ეტალონის“ ინტელექტუალური მომსახურების ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელება ღირებულებით 2960 (ორი ათას ცხრასს სამოცი) ლარი;
3. დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურს ორგანიზება გაუწიოს და ხელი შეუწყოს კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებას. უზრუნველყოს პროექტში მონაწილე მოსწავლეებისა და მათი გულშემმატკივრების ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი 2020“-ის ღონისძიებაზე დასწრების ორგანიზება;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (ეკა მაისურაძე).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

